

აბრევიაცია თანამედროვე ქართულ  
სალიტერატურო ენაში

ცნებისათვის. აბრევიაცია სალიტერატურო ენის წიაღში აღმოცენებული მოვლენა, ფართო გაგებით ყოველგვარ სიტყვიერ შემოკლებას აღნიშნავს. ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს არსებული შემოკლებები (წ., იხ., გვ., შრ., ა. შ. და სხვ.), ანდა ძველი ქართულის ქარაგმები (ჩ., რ., ვ-დ) სხვა არაფერია, თუ არა აბრევიატურები ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. ისინი მიღებული პირობითი (შეთანხმებული) შემოკლებებია.

აქ შევხებით ვიწრო მნიშვნელობით ხმარებულ ტერმინს, რომელიც ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგენილ სახელწოდებათა შემოკლებას გულისხმობს და ეყრდნობა არსებითად ინიციალურ (ე. წ. აკრონიმულ) პრინციპს, რომლის განხორციელებაც იძლევა შემადგენელ სიტყვათა პირველი ასოების შეჩრწყმით მიღებულ ასოით გამოსახულებას. არც ეს პრინციპია უცნობი ახალი ქართულისათვის, რომელმაც მხარი აუბა ევროპულ ენებში (მათ შორის, პირველ ყოვლისა, რუსულში) არსებულ გამოცდილებას და შექმნა წერტილებით გაფორმებული ამგვარი შემოკლებები: ე. ი., ე. წ., და ა. შ., და სხვ., და მისთ. (შრ. რუსულში: т. е., т. н., и т. д., и др., и т. п.). უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გავრცელდა აგრეთვე მ. შ. (=მათ შორის), ისიც — რუსულის გავლენით (ვ. ტ. ა. = в том числе).

მაგრამ ამ შემოკლებათა რაოდენობა არათუ სასრულია ზოგადად, არამედ უკიდურესად შეზღუდულიც და ამიტომ სათვალავშიც არ არის ჩასაგდები იმ ამოცანების ფონზე, რომლებსაც აყენებენ ჩვენი სპეციალისტები ობიექტურად არსებული სა-

ჭიროვების დასაქმაყოფილებლად და სხვადასხვა პრობლემური საკითხის მოსაგვარებალად.

მეტი სიცხადისათვის ვიძლევით ზემოაღნიშნული ვიწრო გავებით ხმარებული ტერმინის აბრევიატურის დეფინიციას:

**აბრევიატურა** არის სიტყვიერი შემოკლების სახე, რომელიც, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, წარმოადგენს ერთი ან ერთზე მეტი სიტყვა-ფორმისაგან შედგენილი ტერმინის ან საკუთარი სახელის (ონიმის) პირობით და იმავრდობულად შეგინიობებულ ასოთ გამოსახულებას. იგი, როგორც წესი, ეფუძნება შემადგენელი სიტყვების ინიციალურ (აკრონიმულ) შეერთებას — ჩვეულებრივ, დამხმარე სიტყვების (კავშირ-ნაწილაკთა) გარეშე და, იშვიათად, მათი ჩათვლით (მაგ., მოსკოვის გეოდეზიის, აეროგადაღებისა და კარტოგრაფიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აბრევიატურული სახელწოდებაა ცНИИГАиК).

აბრევიაციის მასობრივი პრაქტიკა დაკავშირებულია, ზოგადად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების ინტერნაციონალიზაციასთან, კონკრეტულად კი, ერთი მხრივ, კაპიტალიზმის შზარდ განვითარებასთან (XIX საუკუნეში), ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის არახულ პროგრესთან (XX საუკუნეში), როგორც მსოფლიო ომების, ისე — მშვიდობიანობის დროს — პოლიტიკურ-ეკონომიკურ (მათ შორის სამხედრო) კავშირ-გაერთიანებათ ჩათვლით.

ეს კავშირები შექმნილია როგორც გეოგრაფიულ-არეალური პრინციპით, რაც საფუძვლად დაედო ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს სახელწოდებებს (USA, USSR; CШA, CCCP; აშშ, სსრკ), ისე სამხედრო-პოლიტიკური ან კულტურულ-ეკონომიკური პრინციპით (NATO, HATO, ნატო; SEATO, CEATO, სეატო; OSCE, ОБСЕ, ეუთუ; UN, OOH, გაერო; ЮНЕСКО იუნესკო).

**აბრევიაციის ისტორიასათვის.** აბრევიაციის პრაქტიკა ჩამოყალიბდა და გავრცელდა იმ ქვეყნებში, რომელთა ეროვნული (სახელმწიფო) ენები ლათინური ანბანის სისტემაზეა დაფუძნებული. ყველა ეს ენა აბრევიაციის პერსპექტივის თვალსაზრისით ქართულ მხედრულ დამწერლობასთან შედარებით ორი გადამწყვეტი უპირატესობით ხასიათდება:

1. ერობულ ენებს მოეპოვებათ დიღი, ანუ მთავრული ასო-ები, რაც საშუალებას იძლევა ინიციალური, ანუ აკრონიშული წესით გაფორმებული აბრევიატურა ვიზუალურად გამოიკვეთს;

2. ამ ენათა ასოების სახელწოდებები, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ხმოვნებზე თავდება: ბე, ცე, დე... (გერმ.), ბი, ხი, დი... (ინგლ.), ბე, ვე, გე, დე... (ჩურ.), რაც საშუალებას იძლევა მთავრული ასოებით გაფორმებული ვიზუალური გამოსახულება ზეპირი წარმოთქმითაც, მაშიაძამე, აკუსტიკურადაც განძტკიცდეს.

ვიზუალური და აკუსტიკური მომენტების სიახლოვე და იდეალში მათი ერთიანობა (NATO ტიპისა) ქმნის იმ ჰარმონიას, რომელიც ასო-ბეჭრის ცნებას უდევს საფუძვლად და ურომლისოდაც აბრევიატურა (ვიწრო გაგებით) პრაქტიკულად არ ხორციელდება. ამ ფონზე, რომერ პარალექსულადაც უნდა ჩანდეს, ქართული ენა, რომელსაც ასოსა და ბეჭრის თითქმის იდეალური შესატყვისობის გამო უდიდესი უპირატესობა აქვს სხვა ენებთან შედარებით, აბრევიაციის საკითხში შეუდარებლად მცირე შესაძლებლობების მქონეა, კერძოდ:

ვიზუალურ მომენტთან დაკავშირებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ქართული „მრავალრეგისტრიანი“ დამწერლობის მქონე ენაა, რომლის ასოებიც იწერება შეაშიც (4 ასო), მხოლოდ ზედა რეგისტრში (13 ასო), მხოლოდ ქველა რეგისტრში (13 ასო) და სამსაცე რეგისტრში (3 ასო).

ამიტომ, თუ შევეცდებოდით ასოების ხელოვნურ გადიდებას ზედა რეგისტრში მათი ზევით აწევის გზით, ეს ვერავითარ ეფუძნება ვერ მოვცემდა იმ შემთხვევაში, თუკი აბრევიატურა მხოლოდ ზედა რეგისტრის ასოებისაგან იქნებოდა შედგენილი (როგორიცაა, ვთქვათ, შპს). ერთადერთ იმედად რჩება კომპიუტერის თანამედროვე პოლიგრაფიული შესაძლებლობები, რომლებიც ასოების სიმუქით, ანდა ზომის გადიდებით აბრევიატურის ვიზუალურ მხარეს გამოგვაყოფინებს.

უფრო რთულადაა საქმე წარმოთქმის, ანუ აკუსტიკურ მხარესთან დაკავშირებით:

ქართულში არც ერთი სიტყვა (ე. ი. თეორი სივრცით გამოყოფილი ლექსები), ცალკე მდგომი თანდებულებისა და ნაწილაკების, ანდა შორისდებულების ჩათვლით, არა გვაქვს ისეთი,

ხმოვანი რომ არ ახლდეს (შდრ. ჩუქ. წინდებულები ვ. კ. ც). სა-  
ერთოდ, ქართული სიტყვა სულ ცოტა ორასოიანია, რომელთაგან  
ერთი უსათუოდ ხმოვანია, ხოლო არსებითი სახელი, როგორც  
სალექსიკონი ერთეული (ე. ი. სახელობითში წარმოდგენილი)  
აუცილებლად ხმოვანზე მთავრდება (სახელთაგან ან მხრივ გამო-  
ნაკლისს წარმოადგენს ეს, ეგ და ის პირისა და ჩვენებითი ნა-  
ცვალსახელები და მათი ირიბი ბრუნვის ფორმები — ამ და იმ).

ვინაიდან აბრევიატურა, როგორც წესი, რთული შედგენი-  
ლობის ტერმინის ან ანალოგიური სტრუქტურის ონიმის, ანუ სა-  
კუთარი სახელის (სახელწოდების) ასოთი გამოსახულებაა, ისიც  
ფაქტობრივ სახელს წარმოადგენს. აქედან გამომდინარეობს  
უბირველესი მოთხოვნა ქართული ენისათვის, რომ აბრევიატურა  
ხმოვანზე მთავრდებოდეს. რავი ევროპულ ენებში აბრევიაციის  
ზეპირ პრაქტიკაში ფართოდა გამოყენებული ასოთა სახელწო-  
დებები, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართული ამ თვალსაზრისით  
კარგ ანალოგს ვერ მოვცემს: აქ ორად ორი ასოს სახელწოდება  
მთავრდება ხმოვანზე: ანბანის პირველი ნაწერის ჩამკეტი რ —  
რაე და მეორე ნაწერის (ანუ მთელი ანბანის) ბოლო ასო ჰ —  
ჰაე (ძველ ქართულში იყო ჰოე — მ ასოს სახელწოდება).

ამიტომაა, რომ არავითარი ეფექტი არ მოუცია რუსული  
KBH-ის ქართულ ადეკვატს — მსკა („მხიარულთა და საზრიანთა  
კლუბის“ აბრევიატურას), რომლის ზეპირი ფორმის დამკვიდრე-  
ბასაც გრაფიკულმა დიზაინმა — ინიციალების გადიდებამ (მან-  
სანგანი) არათუ უშველა, არამედ, პირიქით, შეიძლება ითქვას,  
რომ ავნო: ორმაგი ინტერაბრეტაციის საშუალება წარმოქმნა (მსკ  
და მანსანკანი ან მან-სან-კანი).

როგორც ვხედავთ, ყველა ეს დაბრკოლება ობიექტურად  
არსებობდა (და ამჟამადაც არსებობს) და მათ ვერ გავექცევით.  
ამიტომაა, რომ, აღნიშნული ენებისაგან (მათ შორის — რუსუ-  
ლისგანაც) განსხვავებით, ქართული ენა, რომელიც ზემოთ ნახსე-  
ნები ერთადერთი უპირატესობით — ასოსა და ბგერის იდეალუ-  
რი შესატყვისობით — სარგებლობს, თუნდაც იმ მცირეასაკოვანი  
ტრადიციების ფარგლებში, რომლებიც მას რეალურად აქვს, მი-  
მართავდა იქნებ ნაკლებ ეკონომიურ, მაგრამ უკეთ გასაგებ, სე-  
მანტიკურად მეტი გამჭვირვალობის გზას. სემანტიკური გამჭვირ-  
ვალობა კი ისტორიულად მუდამ ახასიათებდა თვით ძველ ენებში

გამოყენებულ ქარაგმებს. ესაა ძირითადად სამშარცვლიანი აბრევიატურები ზოგ შემთხვევაში პირდაპირი სესხებით, ზოგშიც — კალკირებით, ანუ ნაწილობრივი სესხებით (საკრესი, საქვესი, ლიტ-ფონდი, სამტრესტი, საქჩაი, მუშკორი, სპეცორი და სხვ.).

უნდა ითქვას, რომ რუსულში არსებული ბევრი მნიშვნელოვანი აბრევიატურა ქართულში არც გადმოსულა. ასეთია, მაგ., ვუკ რომლის გადმოღებისას ქართული ენა, ჩვეულებრივ, ზეპირ მეტყველებაში მსაზღვრელიანი შესიტყვებების დარად მხოლოდ პირველ კომპონენტს ხმარობს სრული სახით, მაგ.: უმაღლესში (< უმაღლეს სასწავლებელში) სწავლობს, გოლოგიურ (< გოლოგიურ ფაკულტეტზე) ჩააბარა. ასევე უთარგმნელი დარჩა: ფილფაქ, ისტმატ, ინკომ, ფიზტეხ და სხვ.

ამიტომ ქართული ენის ეს ოვეისებურება — ნაკლები მიღრეკილება ევროპული ტიპის აბრევიაციისადმი — არ უნდა იქნეს დავიწყებული და ბოლო კომპონენტად მოკლე საზღვრული სიტყვები (ზანკი, ტრესტი, ფონდი...) მაქსიმალურად უნდა იქნეს ჩართული, რათა შესატყვისობა წერასა და წარმოთქმას შორის თუ სავსებით იდენტური არა, რაც შეიძლება დაახლოებული იყოს. აქვე უნდა გავიხსენოთ ქართულ სასკოლო (ფიზიკურ) ტერმინოლოგიაში ფართოდ გამოყენებული აბრევიატურა — მექ (= მარგი ქმედების კოეფიციენტი): ეკონომიკისათვის ასე იბეჭდებოდა სახელმძღვანელოებში და იწერებოდა დაფასა და რვეულებში. მაგრამ ზეპირ მეტყველებაში არც მექს ხმარობდა ვინმე და არც მის ხმოვნიან ვარიანტებს: მექის, მექას, მექოს ან მაქს.

ამრიგად, პრინციპი წერისა და წარმოთქმის იდენტურობის შესახებ არცოუ აღვილი განსახორციელებელი ჩანს. ცხადია, მას-შტაბური, საერთაშორისო მნიშვნელობის ობიექტების სახელწოდებათა აბრევიატურები ყველა ენაში და მათ შორის ქართულშიც იდენტური იქნება მაშინაც კი, როცა იდენტური აბრევიატურების გაშიფრისას სხვადასხვაობას ვაწყდებით (მაგ., ნატო, იუნესკო და მისთ.) ქართულიც სხვა აბრევიატურებს მოგვცემდა: ჩატოს და მისთ.).

მაგრამ სრულ უნიფიცირებას აქ არ უნდა მოველოდეთ, მით უფრო, რომ ვერ უგულებელვყოფთ წერისა და წარმოთქმის განსხვავებულობას უფრო მცირე ერთეულების — ზომა-წონის

აღმნიშვნელ ერთეულთა ერთსიტყვიანი ტერმინების ოდენობან-ხმოვნიან ტრადიციულ შემოკლებებში: ა = ამპერი, ვტ = ვა-ტი, სთ = საათი, წთ = წუთი, წმ = წამი, გ = გრამი, კგ = კილოგრამი, მ = მეტრი. კმ = კილომეტრი და სხვ., რომ არა-ფრერი ვოქვათ სხვა ჩვეულებრივ შემოკლებებზე, რომელთაც ზე-პირ მეტყველებაში გაშლილი და წარმოვთქვამთ.

ამ პირობებში უკვე არსებული, ტრადიციით განმტკიცებული ქართული აბრევიატურები წანალისტების ღირსია. ეს პირველ ყოვლისა ითქმის გაერთს, ეუთოს ტიპის თითო-ოროლა აბრევიატურაზე. და მაინც, აუცილებლობის შემთხვევაში აბრევიატურები შესაქმნელია და ისინი უნდა შეიქმნას ინდივიდუალური წე-სით: ამ პრიცესს ქართულში მასობრივი ხასიათი ვერ მიეცემა და ბრძა წამხედურობა საქმეს მხოლოდ წახედვნს.

ჩოგორუ შემოკლებათა ქართულ ენაში მოქმედი ტრადიციები გვიჩვენებს, წმინდა აკრონიმული პრინციპის უნიფიცირებული გამოყენება შეუძლებელია. ქართულისათვის კველაზე მისაღებია კომპლექსური მიდგომა, და არა მხოლოდ ერთი რომელიმე პრინციპით შეზღუდვა (რისი მაგალითებიც ბოლო ხანებში არა-ერთგზის შეგვხვედრია ქართულ პრესაში<sup>1</sup>).

ამ ტრადიციების პრაქტიკიდან ამოსვლით, წინამდებარე წე-რილში შემოთავაზებულია სარეკომენდაციო და გამოსარიცხი წე-სები. ამასთან, ქართულისა და უცხოური აბრევიატურებისათვის წესები ცალ-ცალკეა შედგენილი.

აბრევიაციის ეს წესები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეყარება წერისა და წარმოთქმის მაქსიმალური აღეჭ-ვატურობის პრინციპს, აგრეთვე აბრევიატურის ფონეტიკურად დაუბრკოლებელი წარმოთქმისა და მეტ-ნაკლები სემანტიკური სიცხადე-გამჭვირალობის მოთხოვნებს.

1. აბრევიატურას არსებითი სახელი ფუნქცია აქვს. სახელი კი ქართულში ხმოვნის (მასთან, ბოლოებიდური ხმოვნის) გარეშე არ არსებობს. ამიტომ აბრევიატურა, ჩოგორუ სახელი, სულ ცოტა ერთხმოვნიანი, ანუ ერთმარცვლიანი მაინც უნდა იყოს. გამონაკლისად დარჩება გარკვეულ სიდიდეთა, ზომა-წონის ტრა-დიციული, მხოლოდ წერაში მიღებული ერთეულები, რომლებიც

<sup>1</sup> იჩ., მაგალითად, რ. ბერულავას პუბლიგაციები ბოლო წლების ეურნალ-გაზეთებში.

ზეპირ მეტყველებაში გაშლილი სახით წარმოითქმის (გ, კგ, ლ, მ, ქმ, სმ, ვტ, სთ, წთ, წმ და ა. შ.).

2. ამასთანავე, ერთმარცვლიანი აბრევიატურა ქართულში ტიპობრივი არ არის, ძალზე იშვიათია და მხოლოდ წერილობითი სახით არსებობს (თსუ, უფრო აღრე — აგრეთვე სპი). ზეპირ მეტყველებაში ეს მოდელი პრაქტიკულად არ გამოიყენება. ამიტომ ერთმარცვლიანი აბრევიატურა რეკომენდებული არ არის.

3. სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი ნებისმიერი სიგრძის არსებითი სახელის მსგავსად, აბრევიატურაც ქართულში მუდამ ხმოვანზე მთავრდება. ეს ხმოვანი ან ფუძისეულია (მაგთ, ეუთო, საქჩაი), ანდა — სახელობითი ბრუნვის ნიშანი (სახმშენი, ჯეოსელი).

4. აბრევიატურა დაუბრკოლებლად უნდა წარმოითქმებოდეს. ამ მიზნით აბრევიატურაში ფონეტიკურად შეუთავსებელი თანხმოვნები (მაგ.: დსთ, დლგ) ხმოვნით უნდა გაიმიჯნოს (სასურველია — შესამოკლებელი სიტყვის პირველი ან ბოლო ხმოვნით), ანდა მთელი მარცვლით. ამ გზით აბრევიატურა სემანტიკურადაც უფრო გამჭვირვალე გახდება.

5. თუ აბრევიატურის ბოლო შემადგენელი სიტყვის ფუძე მოკლეა (ერთმარცვლიანია), რეკომენდებულია აბრევიატურაში იგი სრული სახით დარჩეს (ტრესტი, ბანკი, ფონდი), ხოლო წინამავალი კომპონენტი შემოკლდეს როგორც აკრონიმის წესით, ისე პირველი მარცვლის (თანხმოვნიანად) გამოტანის წესით (მაგ., სახბანკი). უპირატესობა მიეცეს სემანტიკურად უფრო ნათელ ვარიანტს.

6. ქართული აბრევიატურა იწერება შერწყმულად, უდეფისოდ (საქწიგნი, თბილგაზი).

7. უცხოურ აბრევიატურათა ქართულად გადმოცემისას რეკომენდებულია:

ა) მასშტაბური მნიშვნელობის ობიექტების ფართოდ გავრცელებული სახელწოდებები პირდაპირ, უთარგმნელად იქნეს გადმოლებული (NATO — ნატო, SEATO — სეატო, იუნესკო...);

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, როცა აბრევიატურა ინიციალური ასოებისაგან შედგება და მათი ანბანური სახელწოდებებით წარმოითქმის (ინგლ. BBC, რუს. КГБ), მაშინ ქართულ ტრანსლი-

ტერაციაში ყოველი ასოს სახელწოდების წარმოთქმა დეფისით ემიჭნება მომდევნოს (ზი-ბი-სი, კა-გე-ბე);

გ) ბრუნვის ნიშნები ბოლო კომპონენტს უდეფისოდ ერთვის (ზი-ბი-სიმ, კა-გე-ბეს). ზეპირ წარმოთქმაში თანხმოვანზე გათავებულ აბრევიატურას (CNN სი-ენ-ენ) სახელობითში დაერთვის ბრუნვის ნიშანი ი და იბრუნვის უკუმშველ სახელთა მსგავსად (ნათ. სი-ენ-ენის), ხმოვანზე გათავებული აბრევიატურა (ზაგ., OPT) კი — უკვეცელ სახელთა მსგავსად (ნათ. ო-ერ-ტეს).<sup>1</sup>

<sup>1</sup> აბრევიაციის ეს წესები ზოგადი სახით რეკომენდებულია „ეურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში“ (რომელიც მომზადებულია ავტორთა კოლექტივის მიერ), თბ., 2002, გვ. 217-221.